ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № სშ/15-119

ქ. ბათუმი 13 ოქტომბერი 2015 წელი

ერთის მხრივ **შპს „სანდასუფთავება“** (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ასამბაძის სახით და მეორეს მხრივ, **ინდივიდუალური მეწარმე „გელა პატარაია“**, (შემდგომში „მიმწოდებელი”), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე–3 მუხლის, 1–ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის **2 (ორი)** ერთეული **ქსელის ჰაბის (Gigabit)** (შემდგომში–საქონელი) მიწოდება.
კლასიფიკატორის კოდი – **CPV 32423000**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. 1 (ერთი) ერთეული **ქსელის ჰაბის** ღირებულებაა **100** (ასი) ლარი.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **200** (ორასი) ლარს.
2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს დ.ღ.გ.–სა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი სააანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სადღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიწოდების ვადაა არაუმეტეს 3 (სამი) დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან.
4.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირია შპს „სანდასუფთავების“ ადმინისტრაციის უფროსი - ირაკლი პაპუნაიშვილი.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და დროულობაზე.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მოწოდებული საქონლის ღირებულება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შპს „სანდასუფთავების“ IT სპეციალისტი – რამინ კაკაბაძე.
7.2. ინსპექტირების მიზანია მოწოდებული საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2 % ოდენობით.

9.2 თუ პირგასამტეხლოს მთლიანი ჯამი გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 6 %–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს ,,სანდასუფთავება“	ი.მ. ,,გელა პატარაია”
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. ბათუმი
ჯავახიშვილის ქუჩა #55	ჭავჭავაძის ქუჩა # 90/6
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 61003002868
სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია“	სს ,,პროკრედიტ ბანკი“
ბ/კოდი: UGEBGE22	ბ/კოდი: MIBBGE22
ა/ა GE76VT5500000000053402	ა/ა GE08PC0033600100043497
შპს ,,სანდასუფთავება“	**ი.მ. ,,გელა პატარაია”**
დირექტორი	
დავით ასამბაძე	**გელა პატარაია**